კვირა, 6 აპრილი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 11

გამოვა ყოველ-კვირაობით. წერილები და ფული გამოიგზავნება: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ქრისტე აღსდგა!

ქართველ ინტელიგენციას
და ქართულსა რედაქციებს,
სიხარულით მიულოცავთ
სააღდგომო კვერცხის ტკვიებს.

ცხადი არის, ამ მილოცვით
ბევრი დაიქუცავს წიგნებს,
მაგრამ, ვფიცავ ტარტაროზსა—
წრეულს არც-ერთს გაიცვებს.

მათრახოსანი.

ქრისტე აღსდგა!

ფარისეველთ ამა ქვეყნის ჯვარზედ აცვეს ხალხის მცველი,
გაიხარეს ავაზაკთა, დღე დაუდგათ სანატრელი.
ის აწამეს, ვინც ხელთ იპყრა დროშა, წმინდა-სიმართლისა,
ვინც ხმა მისცა ჩაგრულთ ბანაკს, შუქი ჰფინა სინათლისა.
ვინც ხალხს უძღვა განუყრელად და დასთრგუნა ბოროტება,
ის ჯვარს აცვეს უგუნურთა, მას შესწამეს ანგარება!
იგი მოჰკლეს და მის მცნების განიზრახეს გადათელვა,
მაგრამ სწავლა ჯვარცმულისა ხალხს მოედვა, როგორც ელვა.
არ მოკვდება მისი მცნება, იმედით სცემს ტანჯულთ გული,
არ მოკვდება სწავლა დიდი და არც ხალხის მოციქული.
ჩუ... განიპო უკუნეთი, ღრუბლები შორს გადირეკა,
კაცთ სამყარო გაკაშკაშდა, შვების ზარმა იწყო რეკა!
აღმობრწყინდა ვარსკლავთ გუნდი, არე-მარეს სხივი სტყორცნა,
წყვდიადი შორს გადაფანტა და ქვეყანა გადაჰკოცნა.
ანგელოზნი ცაში მწყობრად იმღერიან საგალობელს:
„ქრისტე აღზდგა!“ საამო ხმით დასძახიან მძინარ სოფელს.
გიხაროდეს მაშვრალთ კერავ, აღზგდა მკვდრეთით ქვეყნის მხსნელი,
ხალხის ლამპარს ვერ ჩააქრობს ფარისეველთ ბილწი ხელი!
ინეტარეთ, ტვირთ მძიმენო, სიხარულის წამი დადგა,
გადაჰკოცნეთ ერთმანეთი, და უთხარით: ქრისტე აღზდგა!

ვოგია.

წითელი კვერცხი.

შემოჰკრეს თუ არა პირველ ზარს, რომლითაც ნახევრად მძინარე ხალხს ამცნეს აღდგომა ქრისტესი, მახათის გორაზე თავი ამოჰყო წითელმა კვერცხმა და დაცინვის ღიმილით თფილისს გადმოხედა. არავინ იცის საიდან გაჩნდა ეს კვერცხი, ან რა მანქნებით მოძრაობდა ის როგორც ცოცხალი ადამიანი. ის ერთი შეკუნტრუშდა და ელვის სისწრაფით თავქვე დაეშვა. ერთის შეხედვით ყოველი ადამიანი იმას იფიქრებს, რომ კვერცხი ორ აღლსაც ვერ გაივლიდა და სადმე ქვას შეეხეთქებოდა. მაგრამ ჰოი საკვირველებავ, ის მიქროდა, ვითარცა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, მისი შიშით ქვებიც კი თრთოდენ და გზას აძლევდენ დიდის ამბით გადმოლახა მან ჩუღურეთი, ვაჟ-კაცურად გასცურა მტკვარში, გაიჯირითა სასახლის ქუჩა და „სახალხო“ გაზეთის რედაქციაში ფხაკანი მოადინა. პატივცემულ რედაქტორს ის იყო ტკბილათ ჩასვოლიმა, თავი მაგრათ დაეკანტურა და კინაღამ პატიოსანი ,ხვირი მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა, ოომ კარებმა ჭრიალი მოიღო. რედაქტორმა თვალები ჭყიტა. მის წინ მაგიდაზე წითელი კვერცხი ვაჟკაცურათ იდგა და ღიმილით შესცქეროდა ნამძინარევ თვალებში. რედაქტორი ერთბაშათ გაშტერდა, ვერ წარმოედგინა საიდან გაჩნდა ეს კვერცხი. ერთი ლაზათიანათ დაამთქნარა და მარჯვენა თათი გასწია კვერცხისკენ, უნდოდა აეღო კვერცხი და ჩაეგზავნა მადა გაღვიძებულ კუჭში, რომ უცბათ შემოესმა:—ნუ ხარ ხარბი, ბატონო! მე მოველ რომ მოგილოცოთ ქრისტეს აღდგომა და თქვენ კი დღესაც ვერ მოგითმენიათ და თქვენი „შეჭმის“ თეორია გინდათ განახორციელოთ. სირცხვილი თქვენ, ქრისტე აღსდგა!

რედაქტორმა თვალები დააფვეთა, აქეთ იქით მიმოიხედა, მაგიდის ქვეშ შეიხედა და რაკი დარწმუნდა რომ ოთახში გარდა ქაღალდებისა და წითელი კვერცხისა არავინ იყო, დარწმუნდა რომ ეს უცნაური ხმა წითელი კვერცხისა იყო. შიშით კანკალი დაიწო.

—ჭეშმარიტათ—ძლივს დაიკნავლა მან და გაფითრებული მაგიდაზე გადაწვა.

— რა ლაჩარი ყოფილხართ!—სიცილით მიაძახა წითელმა კვერცხმა—განა მე უნდა შეგაშინოთ თქვენისთანა რაინდები? მე მოვედი თქვენს სანახავათ და თქვენ კი გული გიწუხდებათ. ვერ ყოფილხართ ვაჟკაცი. არჩილი სად არის არჩილი? აბა ვაჟკაცი ის არის. ნახე ერთი თუ შეეშინდეს.

—არჩილი?—წამოილუღლუღა რედაქტორმა—იქით ოთახში ზარბაზნებს მართავს.

წითელმა კვერცხმა ერთი ჩაიცინა და მეორე ოთახისკენ გაქანდა. აქ მას შემდეგი სურათი წარმოუდგა. გაღებულ სარკმელთან ჟილეტის ამარა იდგა არჩილი და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ვებერთელა ზარბაზანს ეწეოდა და უნდოდა მიებრუნებია.

—ქრისტე აღზდგა! შესძახა წითელმა კვერცხმა.

—ჭეშარიტათ, იყო არჩილის რიხიანი პასუხი. მას სრულიადაც არ გაჰკვირებია რომ წითელი კვერცხი ელაპარაკებოდა. ის შემობრუნდა და ზარბაზანი ვიღაცას დაუმიზნა.

—რომელი ციხე-სიმაგრის აღებას აპირებთ?

—მინდა „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქცია ავაოხრო, ორი დღეა რაც მთელ რედაქციას ალყა შემოვარტყი და ყუმბრებს ვაყრი. თუ „სკალპელი“ ცოცხალი გადამირჩა მთელ ქალაქს ავაოხრებ, ქვას ქვაზე აღარ დავტოვებ დღე და ღამ იმას ვსდარაჯობ და ჯერ არსად სჩანს.

—განა სკალპელმა რა დააშავა, რომ ასე სასტიკათ გინდათ დასაჯოთ.

—ის დაშავა, რომ მწერლობას მოჰკიდა ხელი. მე მინდა გავსწმინდო ჩვენი სამწერლო მოედანი ასეთ ელემენტებისგან.

ერთი კაცისთვის ხომ მთელი რედაქცია აოხრდა?

—მით უკეთესი. „ზაკავ. რეჩის“

აღების შემდეგ მოვისვენებ. ამდენ ხანს „დასელებმა“ გული გამისიეს, მაგრამ მათი ჟინი კარგა ხანია ვიყარე. ორი დღეა რაც ქუთაისიდან ჩამოვედი. იქ ქვა-ქვაზე არ დამიტოვებია დაათავა თუ არა უკანასკნელი სიტყვა, არჩილი გადახტა და ზარბაზანს მოახტა უკან და გაისროლა ერთი, ორი, სამი, მან თვალი მოჰკრა სკალპელს და მყის დაუშინა ყუმბრები. თან სიხარულით ძალზე იცინოდა.

წითელ კვერცხს ცოტა არ იყოს შეეშინდა. უნდოდა უბედურება აეცდინა და არჩილს დაუწყო დაშოშმინება.

კმარა, არჩილ, გეყოფა. შეიბრალე უიარაღო ხალხი.

— არა არ შემიძლია, ყველანი უნდა ამოვსწყვიტო, ერთსაც არ გაუშვებ, ბრაზიანათ ჩაილაპარაკა არჩილმა და წამს შეჩერდა, რომ შუბლიდან ჩამონადენი ოფლი მოეწმინდა.

ამ შემთხვევით ისარგებლა წითელმა კვერცხმა და ფიცხლავ თავქვე დაეშვა, რომ ეცნობებია „ზაკ. რეჩელებისთვის“ მოსალოდნელი თავდასხმა და გაეფრთხილებინა. წამში ის რედაქციის კარებთან გაჩნდა. ნელა შეაღო კანტორის კარები და იქვე გაშტერდა. ის არ მოელოდა აქ ასეთ სანახაობას.

მას სულ სხვა სურათი ჰქონდა წარმოდგენილი, იატაკზე დახოცილი ხალხი, სისხლის ტბა, დაფლეთილი საგაზეთო წერილები, დამტვრეული მაგიდები და სხვა. არაფერი ამისთანა. მიუხედვათ იმისა, რომ „სახალხოდან“ ისმოდა განუწყვეტელი გრიალი არჩილის ზარბაზანისა და ყუმბარები სულ ყვასავით მოციოდა, აქ დიდი მხიარულება სუფევდა. ისეთი ღრიანცელი იყო კანტორის ოთახში, რომ ძალი პატრონს ვერ იცნობდა. წითელმა კვერცხმა პირველად თვალი მოჰკრა მშვენიერ ასულს. ის იჯდა მაგიდასთან, ყელი ბოლღერებია და ტკბილათ ღიღინებდა. მის მაგიდაზე ფეხ მორთხმით იჯდა ვილაც სტუდენტი და გიტარას უკრავდა ცოტა იქით მეორე მაგიდაზე გაწოლილიყო ერასტი, ჯიბეები გადმოეგდო, თავქვეშ კაპეიკიანი ამოედო და ტკბილათ ხვრინავდა. გარს კანტორის მოსამსახურენი შემოსეოდენ და ჟღავ-ჟღავი გაჰქონდათ, რაღაცას ემუქრებოდენ, მაგრამ ერასტი განაგრძობდა ძილს. იქვე კუთხეში იატაკზე სულაბერიძე ლოგინს ასწორებდა-ეტყობოდა ის ის იყო ამდგარ-ყო.

— ქრისტე აღზდგა! გაისმა წითელი კვერცხის ხმა.

ამ ხმამ პირველათ ერასტი გამოაღვიძა ის წამოხტა, აქეთ იქით მოიხედა და ჯიბეებზე დაიკრა ხელი.

— ღმეღთი, რჯული, არა მაქვს. ხომ ხედავთ ჩემ ჯიბეებს აი ამ ერთი კაპეიკის მეტი თუ მქონდეს ჩემი თავი მოგიკვდეთ – მან მაგიდიდან კაპეიკიანი აიღო და შემოხვეულ ხალხს უჩვენა. ღღეს ქაღალდის ფული უნდა მივსცე, ასოთ ამწყობებს უნდა მივცე, სახლის ქირა უნდა მივცე და ამის მეტი კი არა მაქვს.—ის მაგიდაზე ჩამოჯდა და ქვითინი დაიწყო. ყველას თვალები აეცრემლა.

სულაბერიძემ ლაზათიანათ დაამთქნარა, იქვე მოკეცილ ლოგინზე ჩამოჯდა და ბუტბუტი დაიწყო:

—მე ხმოსანი თფილისის ქალაქის თვითმართველობისა, მე ხმოსანი თფილისის ქალაქის თვითმართველობისა—ტრალალა ტრალალა ჩაიღიღინა თავისთვის და ღრმად ჩაფიქრ ა.

წითელმა კვერცხმა თვალი მოჰკრა დიდებულ ხმოსანს მის წინ მიცოცდა, მდაბლათ თავი დაუკრა და გაღიმა:

— სალამი თქვენდა ქართველი ერის ინტერესების დამცველო, დიდებულო ხმოსანო იაკობ, ბერწმუნეთ ფირად მესიამოვნა რომ ისევ ქალაქის საბჭოს დარბაზს ამშვენებთ და თქვენი ძლიერი ხმით იქაურებას აქუხებთ. აქ რას აკეთებთ? ნუ თუ აქ ამ იატაკზე გძინავთ?

სულაბერიძეს სიამოვნების ღიმილმა გადაჭკრა და წითელ კვერცხს ოდნავ თავი დაუქნია.

— აქ მე „ნახლებნიკათ“ ვარ. მთელ თფილისში მხოლოდ ერთათ ერთი ეს გაზეთი გამოდგა, რომელმაც გაჭივრების დროს შემიფარა. მას შემდეგ აქ ვარ და სიკვდილამდე აქედან არ გავალ.

წითელი კვერცხი ფეხ აკრეფით რედაქტორის ოთახში შეცოცდა. იქ ერთ მაგიდასთან დიმიტრის მოჰკრა თვალი, ხელში ვებერთელა ქვა ეჭირა და კანტორის ოთახისკენ გამოსასვლელათ ემზადებოდა, ეტყობოდა ხმაურობას დიდათ შეეწუხებია. დიმიტრის განზრახვა ჰქონდა ქვით დაემშვიდებია ამღელვარებული ხალხი. იქვე მის გვერდით ვიღაც ცალ თვალა კაცი არაყიან ბოთლს მაგრათ ჩაბღაუჭებოდა და ხვრინავდა.

ამ სანახაობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ კვერცხზე და ის მეორე ოთახში გაძვრა. მან თვალი მოჰკრა „სკალპელს“ ის გაჩქარებით რკინის პერანგს იცვამდა, თავზე მუზარადი ეხურა და საომრათ ემზადებოდა. ერთი შეხედვით თითქო სხვა არავინ იყო ოთახში, მხოლოდ საიდგანღაც ისმოდა ნაზი ქშინვა. წითელმა კვერცხმა ოთახი ჩაათვალიერა, მაგიდის ქვეშ შეიხედა და იქ დაინახა წითელ-წვერა კაცი, რომელიც შიშისაგან სულ ცახცახებდა, თვალები დაეხუჭა და ყურებში ბამბას იკეთებდა. ეტყობოდა „სახალხო გაზეთიდან“ გამონასროლ ყუმბარებს მეტის-მეტათ შეეშინებია და მაგიდის ქვეშ მოენახა თავისუფალი მყუდრო ბინა. კვერცხს უნდოდა ლაპარაკი დაეწყო ამ ორი რაინდისთვის, მაგრამ ხმა არავინ გასცა. ის ფეხ აკრეფით გამოვიდა ოთახიდან, გადასჭრა სასახლის ქუჩა და „ახალი კლუბის“ კარებთან გაჩნდა აქ მას საზარელი სურათი წარმოუდგა თვალ წინ. იხილა მუნ კარებთან მჯდომარე უშნოთ მოყვანილი კაცი ტან მოგრეხილი, ის ფეხ-მორთხმით იჯდა, საკ ნძე ჩამოეგლიჯა, თავზე ნაკარი დაეყარა და გულსაკლავათ სტიროდა: თან ბრაზიანათ წამოიძახებდა ხოლმე- „ოჰ, წყეულო შავო კენჭებო, რა დაგიშავე, რომ ასე სასტიკად მომეპყარ“. მის გვერდით კიდევ რამდენიმე კაცი იჯდა და სტიროდენ. კლუბში შემსვლელთ წყევა-კრულვას უგზავნიდენ.

ამ სანახაობამ წითელი კვერცხი შეაფიქრიანა, ის შეჩერდა. ამ დროს მოტირალე ხალხმა მას თვალი მოჰკრა, ყველანი ზეზე წამოიჭრენ, ქვებს ხელი დაავლეს და დასცეს ყიჟინა:

— აი ეს არის ჩვენი დალუპვის მიზეზი, ჰკა მაგასა! წითელი კვერცხი უცბათ შეხტა გაიბერა, ვებერთელა მთათ გადაიქცა, გასქდა და იქაურობა საზარელმა ხმაურობამ მოიცვა, ყველაფერი დაბნელდა, შავმა კვამლმა დაჰფარა.

შიშით გამომეღვიძა. ფრიად ნასიამოვნები დავრჩი, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო.

ბერუა.



ადსდგა!

საალდგომო მილოცვები

ქალაქის გამგეობას.

ქალაქს უდგას სათავეში
წევრები ჰყავს მეტათ ზრდილი,
მეტის შრომით აღარ ახსოვთ
აღარც ჭამა, აღარც ძილი.

ქართულ თეატრს.

კარგი რამ გეპირდეს გიკვირდეს
ავი რა გასაკვირია,
გაზაფხულისა სეზონით
ხალხი სულ გადაირია.

ახალ კლუბს.

ქართველ ხალხის გასაყვლეფათ
დაგაარსეს მოგცეს ბინა,
ლოტოსათვის აგირავებს
კაბას თეკლე, შლაპას ნინა.

ძველ მამასახლისებს.

დაჰკარგე ვირი
დაჯექ და სტირი?
სჩანს ტკბილი იყო
ვით ლეღვის ჩირი.

„სახალხო გაზეთს“.

—აბდა უბდა გადაბრუნდა
ამის მეტი რაღა უნდა,
ვინც თქვენსავით არ „ფშუკურობს“
მიაყარეთ ქვა და გუნდა.

„აზრს.“

ხმალს ნუ დასწვევ, თავს ნუ დახრი
სანამ შეგწევს ძალი ღონე,
გაპივრებას გაუმკლავდი
და „ძველი“ დრო მოიგონე.

„ფიქრს„

მარჯვეთ სპრი და მარჯვეთ ჰკერავ
ვერ გაშინებს ბედის წერა,
კუჭიკო ავად გამხდარა
ასტეხია გულის ძგერა.

„თემს“.

«სახალ-ხოელთ“ ბანაკიდან
ყუმბარები მოგაყარეს,
ორჯოფობას ხელი უშვი,
მაშინ იცნობ მტერ-მოყვარეს.

„ზაკ. რეჩს“

აღარც აქეთ აღარც იქეთ,
აღარც გარეთ აღარც შინა,
დროა არქივს გაემგზავროთ
იქ მონახოთ მყუდრო ბინა.

„ლახტს“.

მუდამ შენი სალაყბო—
სომეხი და ვრაცია,
აფსუს! თქვენი სამასხროც
კი გამხთარა ნაცია!.

ვ. გელოვანს.

„ფიქრმა“ ჭკუა შეგიშალა
გადაგასხა თავზე ლაფი,
უნდა თავი ჩამოიხრჩო
გეგზავნება კოპის ძაფი.

ალ. ჯაჯანაშვილს.

დაჩაგრული საქართველო
შენგნით ელის შვება ლხენას,
მისი დახსნა შეუძლია
შენ მადლიან ენამ-ენას.

ი. გედევანიშვილს.

ზლაპარ იყო, ზლაპარ იყო
ქალას ჩიტი მომკვდარიყო,
„მსხვერპლის“ შემდეგ არ გვეგონა
ეს ცვლილება მომხდარიყო.

ნ. შიუკაშვილს.

მომავალი სეზონისთვის
თუ გვიმზადებთ კიდევ „ნაგავს“
ასე თქვენი დაჩლუნგება
აღარაფერს აღარა ჰგავს.

პ. გოთუას.

სოსიკო და სევასტისთან
დაძმობილდი გახდი კაცი,
საბურთალომ ძღვნად მოგართვა
ინდოური, გოჭი, ვაცი.

ი. გომართელს.

აქეთ ვეცი იქეთ ვეცი,
მაგრამ მაინც წავიქეცი,
ძველო აზრო, ძველო მრწამსო
ნეტავი სად გამექეცი?

ახალგარზდა პოეტებს.

ამდენი გამოცემებით
ნუ აგვირიეთ დავთარი,
ნუ შეგვაძულეთ ლექსები
ნუ დაგვილიეთ ქანქარი.

ავიატორ ქებურიას.

„აპარატი“ რომ გღალატობს
არ დაიწყო ბედის მდურვა,—
შენ გსურს—ფრენა დაისწავლო,
მაგრამ იმას მოსწონს—ცურვა!

„მათრახი“ს რედაქტორს

ქრისტე აღზდგა! მეგობარო,
გაიძვერა ხალხის მტერო,
შხამიანო, უნდობელო,
ენა მწარე და ოხერო.

მკითხველებს.

ჭეშმარიტად! მოგახსენებთ
„მათრახი“-სა რედაქტორი,
თუ ჟურნალი არ უვარგა
მიაყოლეთ ერთი—ორი.

მათრახაძე.

ქრისტეს.

ვააპე ლოდი, შესძარი—
სამარე წყევლა-კრულვისა,
კვლავაც შეიქენ მედგარი
ქომაგი დაჩაგრულისა.

დალეწე ტანჯვის ბორკილი—
დამლონებელი გულისა,
კვლავ იყავ სიმართლის შვილი
ბურჯი დაცემულ სულისა.

ჩამოჰკარ-ზარი შვებისა,
გამკრუნებული წყლულისა,
დადგეს დრო ნეტარებისა,
ჩაგრულთა სიხარულისა.

აღზდექ გააპე სამარე,
ჭირიმე შენი სულისა
შენ გელის გული მწუხარე
ცხოვრებით დაჩაგრულისა.

გიგო მეგრელი.

აღდგომა ეკლესიაში.

სხვა აღდგომას ველი!

დღესასწაულს—აღდგომას ვეგებებოდი მეცა,
ძირს, მიწაზედ მხიარულს არ მიტაცებდა ზეცა.
სხვებთან ერთად ნადიმში მსურდა ვყოფილიყავი
და სურვილით ამ გვარით ბედნიერი ვიყავი.
და ახლა კი მიზეზი რო ეგენი არ მინდა
ის არის, რომ სატრფოდან წერილი მომივიდა—
მწერს: მხოლოდ სიტყვებია თქმული ძველთა-ძველი
სრულიადაც არ ვხარობ, სხვა აღდგომას ველი...
დამაფიქრა სიტყვებმა სატრფოსგან მოწერილმა,
დამაღონა ძლიერა,—დამაღონა წერილმა.
მეც მისვწერე: აღდგომას სულაც არ ვეგებები
და სხვა რამეს მოველი მეც მომესწრას ეგები.

მოსე.

აღდგომის ძალა.

ქანც მილეულსა მეძინა,
შეკნეს ზარებმა ზანზარი,
ქრისტე აღდგაო“ გაისმა
ს ბანს აძლევდა მთა-ბარი.

თვალები ვჭყიტე, გავხედე:
ჭრელებულა ბუნება,
ჭრელებულა თვით ხალხიც,
ერთმანეთს ელამუნება!

ერთ-ერთს ულოცვენ, კოცნიან
ტკბილ ენა-მოქარგულია,
ბევრი თუმც ისევ ძველია
ახალ ტყავ გადაცმულია.

ეს ვიცი, მარა რას დავდევ
ქვეყნისა გასწორებასა?
მეც მივეცემი ამ ერთ დღეს
დარდების დავიწყებასა.

ჯერ მოგილოცავთ **ფოთელებს**
ქრისტეს აღდგომის დღესაო,
თქვენ ერთმანეთსა ჯვარს აცვამთ
პირატე იბანს ხელსაო,
დღეს უპატრონოთ შთენილსა—
ვინ არ წამოგკრავს ფეხსაო,
ზოგი შიმშილით თითს იჭამთ,
ზოგმა-გაივსეთ ქესაო!..

ქრისტეს ატდგომას გილოცავთ
თქვენც, ფოთის ქალბატონებო,
ჯადოსნურ სხივით შნოებით
ყველასგან მოსაწონებო,
ცხოლოდ წინ სვლაში მძინარნო
მყაყე რეჟიმის მონებო,
დები გიწვევენ ბრძოლაში
დროის ულირსნო ცოლებო.

—

ლანჩხუთის ბურჯთაც გილოცავთ
აღდგომის დღესასწაულსა,
ზოგიერთ მასწავლებლებსა
უზნეო, ავსულ-ავგულსა
ნიკოლოზს, ქუჩის ლაქლაქას
და მაწანწალა სკოკისა,
ზოგ განათლებულს ბარიშნებს
და ქალებს ახალ სორტისა.

—

ოზურგეთს ძველსა აგენტებს
ბნელეთის მოციქულებსა,
ზაკუსოვისა დამქაშებს,
დღეს წელში მოკაკულებსა,
დღევანდელ ქურუმ-ლაქიებს
ქანქრისა მოტრფიალესა,
ქრისტეს სახელით მოვაჭრეს
უსაქმოთ მოყიალესა.

—

საერთოთ ყველას, ყოველგან,
გილოცავთ ქრისტეს აღდგომას,
გისურვებთ ახალს ცხოვრებას,
სიმართლის გზაზე დადგომას.

შხანკოლა.

ტელეფონი

ჰეშმარიტად! ჰეშმარიტად, ფარანაოზ ჩემო. სხვებ როგორ გიკითხო? გეტყობა გადაგიყლეფნჭავს ამ დილით სული მოდის ტელეფონში. რაო ჩემო, აღდგომა არისო და მაინდამაინც უნდა დეითვრე? იმე! რა? რა ჩამოვიტანე სოფლიდან? ვაი, ღმერთმა დასწყევლოს. ნეტა სულ არ წავსულიყავი და ორივე ფეხები მომტეხოდა. ბიჭო ჩვენ სოფელში კაცს აღარ მიესვლება. მღვდელი გადაგვერია მღვდელი. რომელი მღვდელი? ი ბესარიონ გელეიშვილი, სამტრედიის მღვდელი. გიკვირს? გელეიშვილი კარგიც არის და ავიც, რა გასაკვირია, კაცო გაუშვია მუცელი და ვეღარაფრით ძღება თურმე ცოცხალსაც და მკვდარსაც ჰყლაპავს. თუ მოგიკვდა ვინმე-ვაი შენი ბრალი, თუ ქორწილი ქენი ვაი შენი ბრალი, თუ მონათლე— ვაი შენი ბრალი, და თუ დრამის ფულის გახდახდა დაგვანდა ვაი და უი მაშინ უნდა იკითხო, რომ მოგადგება—თუ ბიჭი ხარ დაუმაგრდი. ფული თუ არ გაქ ჩოხას გაგხდის, ჩოხა თუ არ გაქ პერანგს და თუ პერანგიც არა— ტვავს გაგაშპობს და ქალაბნებს შეიკერავს. ტყუილი იქნება? იმე, რავა გეკადრება, ტყუილი კი არა ჩემი თვალით ვნახე დრამის ფულში ხანჯალი რომ შემოხსნა საწყალ კაცს იმაზე უარეს რალას იზამდა თავის გვარის კაცს, აკაკი გელეიშვილს რომ უყო. ხომ იცნობ განჯაში რომ არის კანდუხტორათ? ჰო, საწყალს დედა მოუკვდა, უფროსმა არ გამოუშვა, ქრთამი მომეცოო, მან ქრთამი არ მისცა და ისე წამოვიდა. დამარხა დედა და დაბრუნდა ადგილზე მარა აღარ მიუშვეს რათ გაიპარეო. მან თურმე უთხრა დედა მომიკვდავო. მოსთხოვეს მოწმობა. ჩამოვიდა ისევ სამტრედიას და მიადგა ბესარიონს მოწმობაზე. ის რას უზამდა ხომ იცი? ფული და ფულიო. სანამ ფულებს იშოვიდა ადგილიდან დაითხოვეს და მერე რალა შავ ქვათ უნდოდა ბესარიონის მოწმობა, ვერ დაიჯერებ? ჩემდა გასამტყუნებლათ აბა ჩადი ერთი და ჯვარი დეიწერე, ნახე რა გიყოს! ჯვარ დაწერილი ხარ? ეს არაფერია, ოღონდ ფული მიეცი და კიდეც დაგწერს და კიდეც გამოგწერს ჯვარს. საკურთხი? ჰმ მოგეცა სიცოცხლე დღეს ის გაძღებოდა, ერთი ორასი გოდორი წითელი კვერცხი მაინც ექნება შინ მიტანილი, პასკებს და შემწვარ ქათმებს ნუღარ იკითხავ. ბიჭო? არ გესმის რას ამთქნარებ? გეძინება? ვაი შენ დღეს წადი წადი ბიძია დაიძინე, ჩამოკიდე შენი ტრუბა.

—

— ცენტრალნი? ქრისტე აღსდგა! ა? რა? პოჟალუსტა 795 ნომერი.

— ლაზარე შენა ხარ? ა? რა გატირებს ბიჭო? რა გინდა ამ აღდგომა დღეს მაქ? რავა დედაბერივით ტირი შე უბედურო? დღეს ყარაულათ დაგაყენეს? ბიჭო რას ყარაულობ? დღეს ხომ კლუბი დაკეტილია და რა ჯანდაბას აკეთებ მაქ? რა? ვინ თარხანოვი? ჰო, პეტერბურგიდან გამოქცეულა და მაქ შემოპარვა უნდა, რომ კენეტს ყუთები დაამტვრიოს? ჰოო! აბა ყოჩაღათ უდარაჯე, არ შემოგეპაროს.

—

— უკაცრავათ ბარიშნა, მარა ერთი კიდევ უნდა შეგაწუხოთ, მინდა ჩემ თებრონეს დეველაპარაკო. ნომერი 13- 45.

— ვინა ხარ? მე ვინა ვარ? მე გახლავართ ტერენტი. თებრონე? ოჰ, შენ კი გენაცვალე მაგ წითელ რუბაშკაში! ქრისტე აღსდგა, თებრონე ჩემო, გკოცნი. ტელეფონით გკოცნი, მპუ! რა გაცინებს? ღმერთმანი მართალს გეუბნები. აბა რა ვქნა, ტუჩი არ მომიწვდება აქედან, თვარა იცოცხლე გაკოცებდი. თებრონე ჩემო ხომ კარგათ შეეგებე აღდგომას? რა? მოწყენილი ხარ? რა ამბავია? მოგიკვდა ჩემი თავი, რამ მოგაწყინა ბოშო? ლოტო? რა, ლოტო არ გითამაშია კარგი ხანია? ბეჭა და მაგიზა მეიწყინე? ოი, ღმერთმა დასწყეველოს ვინც ის ლოტო მეიგონა. ხომ ხედავ თებრონე რაც შენ ლოტოს თამაში დაიწყე მას მერე აღარც ტანზე იცვამ ხეირიანათ და აღარც ფეხზე ამ ბოლო დროს იგებდი? აი ისემც მოუგია კლუბის მამასახლისებს. თებრონე ჩემო! გამეისეირნე ერთი აქეთ ვიზიტები გავაკეთოთ. კარგი? აბა გელი ჩემო თებრონე.

—

— უჰ! ვინ არიწკინებ? ბიჭო! ვინ ხარ ოჯახ დაქცეულო! იმე! კაცო აღარ გაათავებ? მართალია დღეს აღდგომა არის და ზარების რეკა შეიძლება, მარა ტელეფონი ხომ ეკლესია არ არის. რა? ჭემარიტად! სოსიკო? ვინ სოსიკო ხომ არ გიქრის შენ? სადაური სოსიკო ვარ. ვინ ხარ შენ თვითონ? საიდან არიწკინებ? საბურთალოდან? ბიჭოს! ვინ ხარ? საბურთალოს თავადი? რომელი თავადი? სევასტოპოლად მოვიდე? ივანეც მოვა? პარეენიც? უნდა მოვილაპარაკოთ? ხომ არ გაგიჟდი ვიღაცა ხარ. არ ვარ სოსიკო არა, არა, შე ტერენტი ვარ, ტერენტი, ტერენტი! გაიგე? ჩამოკიდე შენი ტრუბა თვარა კაი რამეს გეტყვი.

ტირიფი.

გულ-წითელა

(საადგომო ლეგენდა).

გულ-მკერდ თეთრის ფრინველის შუქით
შგუნ დამე შგუ კრთოდა
და ხალხი კი ამა ფრინველს
„გულ-წითელას“ ეძახოდა.
ხალხის ამგვარ სიტყვიერზე
გულ-მკერდ თეთრა ჭკვირდებოდა:
—იქნებ მშორგენ, დამტინიან,—
ის ამაზედ ფიქრდებოდა.
და რადგანაც ხალხი ჩვეულს
არ იშლიდა რაკი ნახა,
ადგა მანაც და სხვა ხრიკი,
სხვა სახსარი გამონახა:
მუნ მოზიდა სადებაგნი,
შეაზავა ათას ფერა,

წაისო და წამოისო
და მით გული დაიფერა
და ამ გვარად ოვის სახელი
დამკვანა, შაიფერა...
მაგრამ წვიმამ გულ-წითელს
ერთხელ მინდვრად მოატანა—
ჩამორეცხა და დასტოვა
ისევ ისე ის ღელეშანა.
ამის შემდეგ სხვა წამანიც
თუმც მრავალი კამოსცადა,
მაგრამ ისევ ჩამორეცხა—
ფერენა არც კი დაცადა...
და დადგნდა გულ-მკერდ თეთრა,
რა ელინა, არ იცოდა—
სახელი რომ არა ჭკვადა,
სირცხვილისკან მთ ვად იწოდა...

—

ერთხელ მთაზე გულ-მკერდ თეთრას
ჯვარი შესვდა ადმართული,
სადაც იყო უმოწყალოდ
მუნ იესო მიჯურსმული...
ამის მნახველს გულ-მკერდ თეთრას
აუდელდა ცოდვით გული
და მის თავზე, მთლად ანკარა,
აჩუხჩუხდა ნაკადული;
მაფრინდა და ფურსმანსა
ფრთხიალად მოსდო ნისკარტული,
ამოაძრო... და ამ დროს კი
შეუდება სასხლა გული,
და მას შემდეგ დაიმკვიდრა
მან სახელი „წითელ-გული“
მას ვერა შეეს ვერცა ხესვა
და ვერც წვიმა ნაიდგრული...

—

და ჩვენც, ძმანო, „ქრისტე აღსდგა“
რომ ულოცავთ ერთმანეთსა,
ქერუბიმთა-სკალობელს,
რომ ვუმღერით ტანჯულ დმერთსა;
კარეგნულად, თელურად,
რომ კაკვითით თანაკრძნობას,
სიყვარულსა, ტკბილსა ძმობას,
ჯირში ლხინში მეკობრობას;
ათას ფერად რომ ვაზავეთ
წამალს კვერცხთა შესადებავს,—
ამოა, წვიმა მასაც,
გულ-მკერდ თეთრებრ ჩამორეცხავს;
ამოა, რადგან ჩვენ კი
ვერა ვბაძავთ გულ-წითელს,
და კანცხრომით ვიდიმებით,
თუმცა კვნესა კვესმის ეველს.
და ამიტომ ამოა,
ამოა ეს სულეველა,
და ხომ ვნახეთ გულ-მკერდ თეთრა
როკორ კახდა გულ-წითელა...

მიხ. ნინოწმინდელი.

სააღდგომო კუპლეტები.

სამტრედიისათვის.

ბ. დ. სასწავლებელს.

მაქ რომ ბუდობს ნიკოლოზი
ინსპექტორად წოდებული,
შარაბიძის „პოსტავჩიკი“
მამულიშვილთ სული, გული,
რად გონია გაიძვერას
არ ვიცოდეთ თუ ვინ არი,
ბნელი საქმის მკეთებელი
დავით „კვანტის“ მეგობარი...

ბ. ბ-ს ფერშლებს.

ნაცვალაძე თუ ქანქარს კრეფს
ქაუტაძე ილანძღება,
ამდენ ჭკუა მხიარულებს
ნეტავ რაღა ეშველება?

წ. კ. ს. კოსკს.

მამულიშვილთ გშობეს, გზარდეს,
იმედები ჰქონდათ შენი,
სიხარულით ცას წვდებოდენ
იქ გიორგი, აქ რაჟდენი,
მაგრამ ვაი შენს გაჩენას
იმათ ხელში გხდება სული,
შენი საქმე დიდი ხნიდან
წასულია—დაღუპული!..

ალაურ მამულიშვილებს.

ყოველ მხრიდან დამარცხება...
ველარ გაგაქვთ ვერსად ლელო,
ხალხმა ზურგი შეგაქციათ,
„იღუპება საქართველო“.
ვექილობა ჩამოგართვა
ალარ განდო სამზრუნველო,
სორო, სორო კვლავ მოსძებნეთ
მამულიშვილთ სამფლობელო.

რიჟა.

აღდგომის გალოცვა

(გურული სცენა)

მუაწია აღდგომა თუ არა, რაცხამ
უცფათაი შემიჩხიკინა და გამიხიკინა,
მიპწკინა და ამაპამპალა ზეით-ზეით
ჰოჰოპანსავით და ქი მივყავდი საცხა
უბაშფორთოთ. გევიდგი ფეხი იცოდე
ჯვარიან მუხასავით და რავა ვქენი
შაგი... ავაბზუე-დავაბზუე დუნჩი,
ღმერთს ემადლოფ სახიფათო საქმეს
რო გადურჩი და არ მოვხთი ბანკის
და ტრიატის კრებაში, შუხუთში და
ლანჩხუთში. მოგვიბრძანდა აღდგომა
და გამევიკაზმე ნაირ-ნაირი ტანისა-
მოსით, გადვითხრიშინე თავზე ერთი
ლაგინაი ლადიკალონი, გადვიწკვერ-
ტე ორი კაი კონა ულვაშები აქეთ
იქით, და ჩევიჯიღე ხელში გამონა-
ლიე ტეხელი კვერცხი, ერთისიტყვით
გადვიპრაწე ბიჭი დრაგუნსკი მუდრეკ
აფიცერსავით და გუწევი წითელ
კვერცხების სატახუნოთ ჩემ სულიკოსთან.
ჩემდა ბედათ, კარი ქე
დამხთა ღრიეთ, შევაღე და შევ-
ცუნცულდი ნელა-ნელა, წვიეპარე
ჩემ სიცოცხლის მდინარეს, ყურდ-
ელსავით მძინარეს და შით კაკალ
ტუნჩებში უთხარი ქრისტე აღსდგა.
გახარებული წამეიჭრა ახალთაობა-
სავით და ფეხზე დადგა. დაბზიალდა
ჩერიასავით—გაშალა სუფრა მარა
რა გაშალა, სულო და გულო თუ
საღმე რამე იყო ყორისფელი ზედ
სუფრაზე დააზავა და დააზღვავა.
გევიჯგიმე სუფრის თავში ფაშათ,
სმა-ჭამის ტოლიბაშათ, წევიკაპიწე
ხელი და მოუბოდიშებლათ შეუდე-
ქი მეზაზანდრესავით ზოგიერთ ბა-
ტონ-კაცების ლოცვას. პირველათ
დავლოცე კუპ გაგანიერებული დე-
პუტანტი ვარლამი—შივეხვეწე და
შივენაბდე უფალს გიორგაძეებთან
წახუმბრებაში საააპელაციოთ მოჯა-
ყული თავი, მის კრიპუტის პარტიას
რო არ დიეკარგოს. მერე აპიპინე-
ბული ბაკალით—ვადღინძელე მამუ-
ლიშვილთა რედაქციებში ჩაბუდრე-
ბული ჭამე-ჭუმია—პირზე რო ცხია
ფერადისტები. წმიდაო გიორგი სი-
ეზდისაო! ბეური გზობა იგენის ცო-
დვა მადლათ გიქცევია და დემონ-
კრანტიეს სიმართლე პირ-ჩალმა წა-
გიქცევია, აწიც შენი მედოულია
და ნუ მუაკლებ წყალობას. ჩაის
ჭიქით გავაბედნიერე—ლანჩხუთის
გზა-კვალ დაბნეული ინტელიგენცია,
ყველაყაი მარტო ენით ვითომც ყო-
ლისფერია და საქმით არც ერთი
არასფერია. ივანე ნათლისცემელო!
ბარელმაი კაია ადრე ჩუუკავებდე სა-
რაკუნა ენას და გვაშორებდე იგენის
შფოთის გამოისობით ყურში ბამბის
ტენას. ღვინის სტაქანში—ჩავკარკლე
შუხუთის ბანკის ექს-გამგეები. უჩვე-
ნე ხვთის მშობლის ხატს და ვსთხო-
ვე; აკმაროს ბანკს ამდენი უფინდი-
კოთ დაღანილება და ექს-გამგეობას
ერთი-ორათ გაჯახირება. რუმკით—
გავამშვენიერე ორაგვის კანკალა სი-
მონ ხუცესი, ოი, მთავარ ანგელო-
ზო! დუუყლიპე უნელათ მისი თვა-
ლები, ხალხს რო დააჯორვა ზედ-

მეტი ვალები. სათიოურით—გუუ-ბარძღოს ნიგოითის მარკალ-ხუცეს, ბეურჯელ გაზეთში ცხვირ-პირი რო დააქუცეს, მარა კიდო ჩენჩილათ რო დააქენტერებს იმ საორჩხუში თავს. დაბოლოს შენ ჩემი ბატონი ხარ გიახელი სხვების ასაშენებელი-დასამშვენებელი, ელანძე—სულ-წასრულათ ვეძგერე ლაყაპუჭში შეწიწკინებულ გოჭს, ჩემი გამონალიეთ დავამსხვრიე წითელი კვერცხები, ყლინწი უქენი პასკას და ახლა კი ვაპირობ შინ წასვლას მეთქი და გეიბრინჯა და მეიღრუბლა ჩემი სულიკო მარტის ნასესხებ დღესავით, შეწკიპა თვალი და გადმუაზავა და გადმუაზავა ცერის ხელა კურცხალი და მოყვა მისებურათ ბლიქვინს: მე უბედურ დღის გაჩენილი. იაქესავით დარჩენილი ვაკტი და ვაწუტი, თავხე ვევლები და ვეხეთქები, ჩემსას ჭამს და ჩემსას სვამს და ვიღაც ვიგინდარები ადღინძელა, მე ქი დამტიაო. ამ უნერჩომ ყორისფელი ძალლის ყურყულივით რავა უნდა გაპირუნიოსო, მენჯეხა და შემადგა კეხი მარა რა კეხი, რიზინის ბურთსავით მაგორა და მატრუალა, მათრია და მახახანა აქეთ-იქით და ქე ჩამატკლიცა ფაწალა. დასტურ უნერჩო თვარა, ამას არ ჯობდა ბარიშნებში ჩამომერია და თეთრ გულბოყვში დამეწყო ხელის ფათური—ანდა საცხა ჭურში ჩავქურუტებულიყავი და მთელ წელიწადს არ ამოვსულიყავი?

თემუყაი.

საალდგომო ძათრახები.

ბიათურიდან.

ღრ. სახ. წლ. კრების ერთ თავმჯდომარეს.

ვაი ნაზამთრა გოჭის თავი
შვა მესერში კარჭობილი,
ბარატნიკში საცოდავათ
თავი ქონდა კაუოფილი,
სიტუვა სიტუვას ვერ მიაბა
ბირში ედო კარტოფილი,
კრებას სული შეუხუთა
ეიათონ ეფო კმაოფილი.
ნემდეგისთვის დაკარგოთ,
ეოფილიეოს უფრო ფრთხილი,
ეიორეშ მაგის კათეორებას
ჯერ უშვეღის ეუთი, ოხალი

კ-ს

მეშაღდოკობა დავიწეე,
ათსა ვაკეთებ ასათა,
ერთი ნაგლეჯი ქალალდი
ბლეხს დაუჭინე ფასათა.
საბჭოში საქმეს განვაგებ
ისედაც მტინობენ კაცათა,
ვა! რომ კამიგონ ეგეღა ეს
არ ჩამაგდებენ ვაცათა.

ᲚᲒ-ს

ხან წინიდგან შემომხედე,
ლამაზი მაქვს ტანი, სახე,
უკანიდან თუ უშნო ვარ—
კამისწორე დამიძახე.
დაბალ სალხში არ მაქებენ,
არა ერთხელ დავიძრახე,
ერთ ოთახში შევიბარე
დამინახე?.. დაგინახე!

X-ს

მთელი ბარგი ბარხანითა
შევხვეე და შევინახე,
მდინარის ბირს კაუდექი
შიდ დახრჩობა განვიძრახე,

ერთი ვინმეს სიყვარული

გულის ფსკერში ჩავიმარხე.
ვერც კაბედე, ოჭ სიკვდილი!
ტუვილად ზეზე დავიმარხე.

Y-ს

ორთაგესთვის სკამოდ მაქვს
კაცობა და ფულის ძალა,
მაშ რად დარდობთ? თქენი არ ვარ?
სიკვდილმა თუ დამტალა?!.
მე საბრალო არვის ვსურვარ,
ტარტაროზი შემომწურალა
ჯიბის დარდი, ისე ფიქრი,
იმედებიც კა კამქრალა...
ეგეღანი მე მეშუქრება
ვინ რა, ვინ რა დამაბრალა,
მაშ სიკვდილი დამნაშავეს!..
დამნაშავეა—

სატანა.

„მათრახის“ რედაქცია ბოდიშს იხდის კორესპონდენტებთან, რომ უადგილობის გამო ბევრი საალდგომო მასალა გადაიდვა შემდეგი ნომრისათვის.



სამტრედია

ბანკის კრებამ რომ დანიშნა
ინვალიდთათვის პენსია,
ხომ ღებულობ, ჩვენო სპირდონ!
ვით რიგია, ვით წესია?

ვიცი მოხუცს გიხარია
ყოველ თვისა მიწურული,
ქანქარს ელის ოცდა ხუთსა
გაუძლომი შენი გული.

კაპლო.

ტიპ.-ბეჭდავი ამხ. „ბრძოლა“. ბუხარინის 1. № 12. რედაქტ.-გამომც. თ. ბოლოქაძე.